



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამომდის ყოველ კვირა დღეს.

№ 45.

ოქტომბერი 31, 1893 წ.

№ 45.

შინაზსა: თ. ნ. არღუთაშვილი-შარაძეძელი.—პ. იშვილივი (შოგონება) გ. წერეთლისი.—წვევი, ლექსი დ. როსტომაშვილისი.—ჩენი სახიობა, მახაყელისი.—სემ. იფიკოს, ლექსი ილ. ჩხიშვილისი-პირველისი.—სამეცნიერო კვლევა: დაფარული სენი ა. ჯ. სა.—წმ მოწამენი დავით და კოსტანტინე გ. წერეთლისი.—კრიტიკა: შოკატელი ძმობისა და ურთიერთობისა ზომღელისი.—შვედრის სიყვარული, ლექსი გ. აბაშიძისი.—სუმანი თრიალეთი იმერულად თ. ზუსციანიძისი.—სახუმარო ვასაბოთი.—ვანცხაღენი



თ. ნ. ვ. არღუთაშვილი-შარაძეძელი  
უწინდელი ქალაქის თეი

პ. იშვილივი  
საარჩევანო კანდიდატი ქალაქის თომაზე.

## თ. ნ. გ. არღუთაშვილი მხარგრძელი



მ გვარის ხსენებაზე ყოველს ქართველს, ვისაც კი ცოტოდნათ შეუსწავლია ჩვენი სამშობლო ისტორია, უნებლიეთ გაუცოცხლდება წარსული დიდება საქართველოსი—თამარი და ორი მისი მხედართ-მთავარი, რომელთაც შესახეს ბრწყინვალე შარავანდელი თამარის მეფობას. ეს ორი მხედართ-მთავარი იყენ: ზაქარია და იოანე მხარგრძელნი. აი, ამ სახელოვანი გვირიდან შთამოგებს თ. ნ. გ. არღუთაშვილი—მხარგრძელი, რომელიც ამ უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში აღრჩეულ-იქნა ტფილისის ქალაქის მოურავად და უკვე დაახნა კვალი ქალაქის გამგეობას თავის მოღვაწეობით. შარავანდელი იგი მართლდაც, როგორც სახელოვანი მხედართმთავარი, გაუმკლავდა მძინვარე ხოლერის სენს და იმ დროს, როცა ტფილისის ქალაქის გარშემო ჭერებებით ეყარა დახოცილი ზღობი, ტფილისი იყო შემოზღულული საუკეთესო განკარგულებით და მძინვარი ხოლერამ მგდენი ვერა დააკლარა. თ. ნიკოლოზ არღუთაშვილმა მხარგრძელმა შეიმავარეს სასტიკი მტერი კაცობრიობისა და დაიფარა ტფილისის ქალაქი საშინელი მუსტრისაგან. ამით მან მოიპოვა დიდი სახელი და სიყვარული ტფილისის მცხოვრებთა. დღეს, როდესაც ქალაქის მადლიერი წარმომადგენლები ევედრებიან მას, რომ კვლავ ითავოს ქალაქის მოურავობა, იგი აღარ ნებულობს, და თითქოს ამითი ემსგავსება ძველს სახელ-განთქმულს რომის მხედართ-მთავარს კინკინატს, რომელიც იხსნიდა თუ არა თავის სამშობლო ქალაქს რომს მტრის შემოსევისაგან, ისევე დაუბრუნდებოდა ხოლმე თავის ოჯახს და ზღებოდა კეთილშობილ კერძო მუშაკად. იმან თითქოს ამუარის ყოფით განუტყადა თავის თანამემამულეებს, რომ მე მხოლოდ გაჭირვებაში მინდა გამოკადგეთო მშვიდობიანობის დროს უნემოთაც შეგიძლიათ კეთილად წარმართოთ თქვენი ქალაქის საქმეო. ნიკოლოზ არღუთაშვილის პაპის პაპა არხივისკოპოსი იოსებ სახელგანთქმული მოღვაწე იყო თავის ერისა იმპერატორის ეკატერინეს დროს. მან

გააბედინა იმპერატორი ეკატერინეს კავკასიის ქედის გადმოლაზვა საქართველო-სომხეთის შესაწვენელად ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ. მაგრამ გარემოებამ არ დააცალა ამ შორს-გაშუქრეტს მღელღემთავარს, რომ თავის დიდებული განზრახვა დაევირგინებინა. იგი სომხის ერმა აღირჩია კათალიკოსად; მაგრამ რუსეთიდან ემიაძინს რომ განემგზავრა, ტფილის ქალაქს ვახდა ავად და საკათალიკოსო ტახტზე ვეღარ მიადწია ცოცხალი.

ნიკოლოზ არღუთაშვილის პაპის ძმა, მოსე არღუთაშვილი ჩვენი დროის სახელგანთქმული მხედართმთავარი იყო რუსეთისა; მან პირველად დაიპყრო ვანდაგიშილი დაღესტანი. მისი ძველი დღეს აშენებს თემიბხანშურის მოედანს. თვითონ თ. ნიკოლოზ ვასილისძე არღუთაშვილი ვაზრდილია შესანიშნავის ქუთის პატრონის, ქალაქის ლეზენატორის, ორლოვსკის მიერ, რომელთანაც იგი ბევრ ხანს მსახურებდა განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილობის მოხელედ.

1889 წელს ხელმწიფე იმპერატორმა კავკასიაში ყოფნის დროს უბოძა კამერპერობა და მის უფროს ქალს ფრეილინობა. თვითონ თ. ნიკოლოზ არღუთაშვილი ჩინებული გამოდელი და სწავლაში განვითარებული კაცია, საკვირველი დარბაისელი, თავმდაბალი და თავის ერის მოყვარული. ის არის წარჩინებული საქართველოს თავადიშვილი. ესევე უნდა ეთქვას, რომ მას ამ ორსავე მეზობლურს გვარში ქართველებსა და სომხებში—თანასწორად უდგია ფეხი და ზღება დამაკუშირებლად მათ შორის. ის ჯერ კიდევ მხნედ და ახალგაზდად არის. იგი ჩინებულად იცნობს ყოველ კუთხეს ჩვენი ქვეყნისას. დარწმუნებულიც ვართ, რომ მისგან ჯერ კიდევ ბევრს და მსახურებას მოვიღის ჩვენი ქვეყანა.

### 3. იზმაილოვი

(მოგონება)



ათქვამია „იესაც ჩემი სიკბატე არ უნახავს, ის მოხუცებულებმა ვერ მიცნობსა“. ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია პ. იზმაილოვიზე.

დღევანდელმა მისმა მეტოქეებმა და მოწინააღმდეგეებმა რომ იცოდნენ ამ ათი, თხოთმეტის წლის წინად მისი თავდადებული შრომა ტფილისის ქალაქის გაუმჯობესებისათვის და რა ალტაკებით იბრძოდა ის ამ რუკის წლის წინათ თუ მწერლობაში, თუ საზოგადო კრებებში ქვეყნის საკეთილ დღეო საქმისთვის, უძველად სულ სხვა ნაირი ეწეებოდათ შედგენილი მის პიროვნებაზე. ყველაზედ უფრო გულდასაწყვეტი პ. იზმაილოვისათვის ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგობა შეიქნა. ახალთაობამ უფრო ამ გარემოებას მიაკლავა ყურადღება, რადგან თვით იზმაილოვს არ იცნობდა. აღბათ პ. იზმაილოვი მართლაც დიდი მენებელი ვინმე უნდა იყოსო, რადგან მისი ამხანაგი ნ. ნიკოლაძე, ეს ოდესმე ჰერსა და ლბინში პ. იზმაილოვის თანამოზარე კაცი, ასე მდებრათ ვანუღვა განუყო — ფიქრობს ახალგაზღვრება.

მართლაც ნ. ნიკოლაძემ ჩაუგლო ხელში პ. იზმაილოვი საწეწათ ისეთს ახალგაზღვრებას, რომელიც მის ხელედა მხოლოდ დამარტოვებულ წინაობედ, რომ ვადეფულათ თავის წაღილების მისაღწევად და ვერ მოხერხებინათ კი; მით უფრო ვანუკითხავად შეგებოდა იგი მის წარსულს, მის პიროვნებას. თვითონ პ. იზმაილოვისათვის უფრო იმისთვის იყო გულსატყევი ნ. ნიკოლაძის ვადამტყრება, რომ ამ გარემოებას მისი პროგრამა და გულ-ნადები განზრახვა ვააქარწყლა. ის უნდა საბოლოოდ გამოთხოვებოდა საუკეთესო თავის ქაბუკობის აზრებს. მაგრამ არც ერთმა დღეინდელმა ქართველმა თაობამ კი არ იცის, თუ რა იყო პ. იზმაილოვის გულიდან ამონაღები ვანზრახვები და საუკეთესო მისწრაფებანი? არა ერთი და ორი წელი უმსხვერპლია პ. იზმაილოვს ამ ვანზრახვებისათვის, როდესაც ის დღე-ღამე „დროებისა“ და „კრებულისა“ რედაქციებში ტრიალებდა, როცა იგი ნ. ნიკოლაძესთან, ს. მესხთან და ჩემთან ერთად შრომობდა ესრედ წოდებულს გ. წერეთლის (ყოფილის დღებუარის) სტამბაში, როდესაც ნ. ნიკოლაძეს, მე და პ. იზმაილოვს ვანზრახვა ვეკონდა ისე

დაგვეყენებინა სტამბა, რომ „კრებულისა“, „დროება“ და „სასოფლო ვაზეთი“ წითიერად უზარუნეულ ვამხდარ იყვენ სამუდამოთ სტამბის შემოსავლით. ეს დრო იყო 1869, 1870, 1871 და 1872 წლები, როცა ჩვენს საზოგადოებაში თვალსაჩინოდ გამოცხადდა ქართულ ტურნალ-ვაზეთების კითხვის სურვილი.

იმ დროს ტფილისში ქართულ ტურნალ-ვაზეთების მოთავენი სადაც იხსენებოდნენ, იქაც უძველად პ. იზმაილოვიც უნდა მოხსენებულ იყო. ის ამ დროებში ხშირად თვით ქართულ სტამბაში და ქართულ „კრებულ“-„დროება“-„სასოფლო ვაზეთის“ რედაქციაში ათედა ღამეს, სულით და გულით მოწადინებული იყო, რომ ქართველ-სომეხთა ახალთაობას შორის დამკვიდრებულყო ერთობა და სამუდამო კავშირი. ამ დროს პ. იზმაილოვი იყო ცოცხალი შემავრთებელი ძაფი „მშაქისა“ და „კრებულ“-„დროებისა“ რედაქციებს შორის. ამავე დროს დაარსდა „ტფილისის უწყება“ („Тифлис. Вѣстник“) თ. კ. ბებუთაშვილის რედაქტორობით და ეს რუსული ვაზეთიც იმ დროს გულახდილი თანამოზარე იყო ქართველ-სომეხთა ერთობისა. ამავე ვაზეთში მძური, მგვობრული ერთობით დაიწყეს თანამშრომლობა თ. კ. ბებუთაშვილმა, ნ. ნიკოლაძემ, თ. დ. ერისთავმა, პ. იზმაილოვმა და სხვ.

იმათ მოქმედებას თანასწორად თანაუგრძნობდნენ იმ დროს, როგორც ქართველი, ისე სომხის ახალგაზღვრება.

ერთხელ პ. იზმაილოვმა მთხოვა: „წამოდი სახლში, დედა ჩემს ვაგანობო.“ ისინი იდგენ ექიმინათ სახლში სერგიევის ქუჩაზე. შევედი თუ არა ზალაში გამოვიდა ერთი ხანში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ კარვათ შენახული, თითქმის ახალგაზღვდა ქალი. მის ვადაშლილს და გულღია სახეს სასწრაფის შუკი დაკრთოდა.

— ეგ არის შენი გიორგი წერეთელი? — კითხვა შეიღს დედას.

ა. ს. იზმაილოვისა მხიარულად მომეგება, ჩამომართვა ხელი და დამსვა საეარქელზე.

— რა დავიზავეთ, რათ წამართვით ეს ერთად ერთი ჩემი ვაჟი? — სამღუარავეით მითხრა ა. ს. იზმაილოვისამ. მე ჩემს შეიღს ველარც დღე ვბედავ, ველარც ღამე. გიორგი წერეთელთან და ნიკო ნიკოლაძესთან ვარო — მეუბნება ხოლმე.

— შეიღო, — შემდეგ მიუბრუნდა იგი პ. იზმაილოვს — ნიკოლაძე რატომ არ მოიკვანე? იმის

ნახვაც მინდა... როგორ არ მინდა იმათი ნახვა, ვინც შენი თავი გადამიბირესო. პ. იზმაილოვი ამ დროს თავბაქინდრული დადიოდა ზალაში და ჩუმ-ჩუმად ილიმებოდა.

— როგორ ხარო, რას აკეთებთ ერთად? — მკითხა ა. ს. — ნამ.

— სულ სტამბის გაუმჯობესებაში ვართ-მეთქი. გვინდა ისეთი სტამბა გავაკეთოთ, რომ ქართულ-სომხური ჟურნალ-გაზეთები სულ იქ გამოადიოდეს და სამუდამო ბურჯი იყოს ჩვენის ერთობისა და მწერლობისა — მეთქი.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, შვილო. მაგრამ ეს ჩემი ეფი სულ გამიბინძურდა. შინაც რომ აღარ მოდის! სულ თქვენ რედაქციებში სძინავს. ალბათ იქ დაჩეულა, რომ თუ მოვიდა, ისე დაეგდება, ტანთ-საცმელსაც არ გაიხდის, ო-ო-ო-ო კვირაობით ერთი პერანგი აცეცა, გავანდილა!...

— ჩვენც ეკვრე ვართ-მეთქი, ეუთხარი სიცილით. იმდენი საქმეები გვაქვს, რომ ვისა ჰქვს დრო საცულებსათვის? ამას ვარდა ესეც ხომ მართალია, რომ გვინდა ლარიბი, მუშა ხალხის ცხოვრება გამოვსცადოთ, იმათ კანში ჩაეძვრეთ, რომ უფრო თანაფუძნოთ ჩვენს დაჩაგრულს ხალხსა-მეთქი

— განა მაგითი რასმე გვარგებთ? მაღედან თქვენი სიბინძურის მეტი არა გამოვა-რა, დედაშვილობამ.

— წავიდეთ გიორგი, წამოიძახა ამ დროს ზალაში მოწრიალე პ. იზმაილოვმა. მე აუდექი.

— გთხოვთ ისე მოზრძანდებოდეთ ხოლმე, როგორც თქვენს საკუთარს სახლში — მითხრა ალერსიანად ანნა სოლომოზოვნამ.

ამ პირველმა გაცნობამ ჩემს გულში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სწორედ ნამდვილი დედაშვილური გრძნობა გამოიწვია ჩემში პ. იზმაილოვის დედის მოქცევამ. ამ დღიდან ძალიან ხშირი სტუმარი ვიყავი იზმაილოვის ოჯახში და დღითი დღე ვრწმუნდებოდი, რომ ეს ოჯახი ნამდვილი ძველი დარბაისელი ქართული ოჯახი იყო; ამ ოჯახიდან, გარდა ღრმა თანაგრძნობისა და ქართველობასთან ურთიერთობისა, სხვა გრძნობას ვერ გამოიტანდა კაცი. ამას შემდეგ მე ცხადათ დავრწმუნდი, რომ პ. იზმაილოვს ქართველების სიყვარული და მათი თანაგრძნობა დედის რძესთან ჰქონდა შეწოვიებული. ანნა სოლომოზოვნა იყო შთამომავალი იმ ექიმიანთ გვარისა, რომლის წარმომადგენელნი ირაკლი მეფისა და გიორგი მეფის კარის ექიმებად ყოფილან და ქართველების სიყვარული შთამომავლობით ჰქონიათ. თვითონ ექიმიანი ქართველთ აზნაურთა გვარი ყოფილა და თურმე როცა ქართველ თავად აზნაურთა-გვარების სია გადაეცა რუსეთის მთავრობას, საქართველოს რუსეთთან შეერთებას შემდეგ, აზნაურთა გვარების სახში ექიმიანის გვარი პირველად იყო მოხსენებული. პ. იზმაილოვი იმდროს ქართველსა და სომეხს ერთმანეთში არ არჩევდა. ეს კეთილ-შობილური გრძნობა პ. იზმაილოვისა იყო — ნაყოფი შინაური აღზრდისა. და ამაში ეტყობოდა მას დედის გავლენა.

(შემდეგი იქნება)

გ. წერტილი



### წ ე ე ვ ა



მერთო, ღმერთო შეაჩვენე, ვინც მოქმედობს გველივითა; ვინც არ სჯერდა თავის საჩიროს და სხვას წასწვლა მგელივითა; ვისაც მოაქვს თავი მაღლა, გულით წმინდა კრავივითა და ბოლოს კი მიიმეტ იქნენეს, შხამავს მორიელივითა. როს იქნება ამ გვარ ხალხი ტანჯუვაშიგან დაეინახო, ნიშნს ეუგებდუ დაცინეთა და გულ-მკერდი მოეფუზანო.

დ. რისტომაშვილი.

### ქართული სახიობა.



წლანდელი დრო ყოველგვარი უცხოების დრო არის. უცებ მოულოდნელი რამ შემთხვევა გამოაკებს. თქვენ იგი დროთა-ვითარების მიმდინარეობის შეუფერებელ აშმათ მიგაჩნიათ, ვერ აგიხსნიათ, რათ უნდა ზომბლარყო ეს ისტორიისა და დროთა-ვითარების წინააღმდეგი მოვლენა.. მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის გასულს, იმ დროს, როცა კაცობრიობის მეცნიერებამ იმდენად დაიმორჩილა ბუნების ძალები, რომ კაცის ქუცას შეუძლებელი თითქმის აღარა დაჩინია რა ქვეყანაზე. როგორც, მაგალითად ტელეფონი ედისონისა, ჰაერში ფრენა,

ზღვებზე ველოსიპედით სიარული, უბნო და უწყამლო თოვით უხილავის მტრის გაწყვეტა, ქლექისა და ხოლგრის განკურნება და მრავალი სხვა. აი, ამ ყოვლის შემძღვებლობისა და კაცის გონების ბატონობის დროს, ევროპაში შემოიპარება რაღაც კაცის გონების დამზავრელი ცრუ-მორწმუნება, რომელსაც სწამს რაღაც თვალთ-მაქცობა, გრანჯელობა, თითქოს მეცნიერებით ამალღებული და გაძლიერებული კაცის კანება რაღაც საიდუმლო შიშმა მოიცვაო. მას სწამს მოჩენებები, მკედრების გამოცხადება და სხე. ეს უკანდახვეა ძლევა-მოსილის გონებისა ახლანდელს ევროპულს სცენაზედაც გამოჩნდა. სამწუხაროა და დროს შეუფერებელი ასეთი მიმართულება ცხოვრებისა, რადგან იგი უპირებს კაცობრიობის მოქალაქობრივს წარმატებას ფრთები შეაკვეცოს. ახლანდელ წეს-წყობილების უმაღურთა და უძეაყოფილოთა შესძახიან: „გაჩერდით, ნუ შედინართ ძალ-მომჯიობის განკითხვაში, რადგან ბევრია ძველნაზე თქვენთვის მიუწვდამელი და დაფარულია, დაე-მორჩილემ შენს ბედს და მიეცი კვისა-სა კვისრისა და ღმერთისა ლეთისაო. იმუგემ სარწმუნოებით და გწამდეს მოჩენებებია“. თუ ასეთი მიმართულება დამყარდა მეცნიერებაში და ახალთაობის აღზრდაში, საშუალო საუკუნოების ცრუ-მორწმუნებაში უნდა ამოვეოთ თავი, როცა ავი სულების გამოწვევით მძღავრთა ამა სოფლისათა შემორკილი ჰყავდათ ერობა და ტომობა პირადის სარგებლობის გული სათვის. აი, ასეთის მიმართულების ნიშნში წარმოადგინეს ჩვენმა მსახიობებმა 27 ოკტომბერს ქართულს სცენაზე. ამ მიმართულებით თუ იხელმძღვანელა კაცობრიობამ, ეჭვი არა გვაქვს, რომ ხელოვნებაც ისე დაეცემა, როგორც მეცნიერება. ვერჩეით ჩვენ სცენის მოყვარეთა „ლანდები“ ააშოროს ჩვენს სახიობას და მოიძიოს ცოცხალი ცხოვრების წარმომადგენი ტიპები.

„ლანდი“ ღრამატული ზღაპარი ნ მოქმედებანი ლანდი კი არა, უფრო მოჩენება იყო:

თავი პიესის აზრი ის არის, რომ ბოროტი სული სდევს კეთილსა და კეთილი სული მხოლოდ ჭეშმარიტი ქრისტეს სარწმუნოებით გამსჭვალული გამარჯვებს ეშმაკზე; სხვა ფრიე მისი ხსნა არ არის. ეს ამბავი არ ახალია, ძველია. ყოველთვის, როცა ძალმომრეობა სსლეცდა გონების

წარმატებას, ასეთი მისტიური, მოჩენებითი მოძღვრება არსდებოდა კაცობრიობაში, როცა ენის კონგრესმა დააშოშმანა რევოლუციით აპორგებული ევროპის ერთა გონება, მაშინ დადგა ხელოვნებაშიც ფერიების ქორწილი. როცა ნაპოლეონმა შეგაპეა საფრანგეთის ერის თავისუფლება, მაშინ ხელოვნებამაც დაიწყო შემოსენებული პიესების მზავისი მოჩენებების წერა, სამოვლებისა და სტანების გამოყენა სცენაზე.

რაცა უმეცება მოთამაშებს, განსაკუთრებული ჩენი ყურადღება მიქცია ე. აბაშიძემ, კ. ყიფიანმა ე. გუნიამ და გედევანიშვილმა. ამ წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვიტკცია, რომ ე. აბაშიძის კომიკური ნიჭი თან-და-თან იზრდება; ის მალდა დგას ჩენს კრიტიკაზე. მას გამოაყვებს თავისებური ტიპები, რომელსაც ჩენ მხოლოდ უნდა ეუცქიროთ, დაეტყბეთ მისი სინამდელიათ და იგი შევისწავლოთ, სხვა აღარა გვეთქმის რა. ე. გუნიამ აღირჩია ისეთი ძლიერი როლი ბოროტის კაცისა, ბარ. ეშენაბისა, რომ ყოველი ნიჭიერი მსახიობი პირველად ამისთანა როლში გამოცდის ხოლმე თავის თავს მაყურებელთა წინაშე. მართლაც ე. გუნია არ არის უნიჭო მსახიობი ღმირს რომ აღრე არ მიენებებია თავი წერთისა და ვარჯიშობისათვის, გუნია ახლა ქართულმსახიობთა დასში, იქნება, ყველაზე უფრო აზროვანი და ხელოვანი მოთამაშე ყოფილ იყო; მაგრამ ეტყობა, რომ აღრე მიუძინებია თავისი ნიჭი უმეცარის თავყანის - მცემლების გამო გააპარტავენებულსა. ერთი უაღრესი მისი ნაცულვეანება ის არის, რომ მას ღრამატულს როლებში სრულებით არა აქვს სახის მოძრაობა. ამის გამო რაც უნდა ძლიერი მომენტ დაგვიბატოს მან შინაგანის სულის მდგომარეობისა, ჩენ მინც მის სახეზე ეხედეთ მხოლოდ უსულო ქანდაკის დაღს, ანუ რაღაც უჩიოცხლო კერპის თავს. ის ჩინებულად ითამაშებდა პეუკინის „სტუმარს ძველსა“, „(каменный гость)“. ამ ღამეს მარტო ერთს მომენტში ისახელა მან თავი. იგი იყო შეუღარებელი, როცა მფესტაფელურად გაიღიმებდა და ბოხი ხმით ნელო, თამეკავებთ ხარხარებდა. მაგრამ მაგიერად ეს რაღა იყო მის თავზე, ან ვისგან მიუღია ბ-ნ გუნიას ასეთი ბუნების წინააღმდეგი ხმის წუწუნით და სიტყვების ბოლოების კვეციოთ ღაპარაკი, ან კიდევ ყოველ სიტყვებზე „ეეეი...“-ს

ძახილი?.. თუმცა მაში მე იმდენად ბნ ვ. გუნისა არ ეამტყუნებ, რამდენათაც შეუგნებელს რევისორსა, რომელსაც აღბათ ვერ შეუნიშნავს მისთვის ასეთი ნაკლულევენება.

კ. ვიფიასზე რაღა ეთქვამ?


„დაებერდი დაეჩაჩანაკი,  
წვერი შემექნა ჭალარა;  
ხელოვნებაცა მომძულდა,  
გრძნობაც არ არის, აღარა!...“

გეგუქანიშვილი სახის მოძრაობით და ხელოვნური მოქმედებით ნამდვილი ნიჭიერი მსახიობია;

მაგრამ მისდა საუბედროთ ქართული გამოთქმა სულ არ უვარვა; ასე ჰგონია კაცს, ვინღაც კაპუტინის ორდენის პატრიკან უსწავლია ქართული კილო ლაპარაკისა. დარწმუნებული ვართ ჩვენი თავგასული მსახიობები ძალიან იტყვიცემენ ასეთს განხილვის იმით თამაშობისას; მაგრამ ჩვენ მაინც ასე ეუპასუებთ:

მოყვარეს პირში უძრახე,  
მტერს ზურგს უკანაო.

მახაკვალი.



## ჩექს იღვალს

**შ**ენ ხარ ასული ივერიისა,  
სიკურ შეენება-მომადლებული,  
შენ შეგიძლია მიჯნურს უმსხვერპლო  
შენი სიცოცხლე, სული და გული,

რადგანაცა ხარ მსგავსად ნესტანის  
სიყვარულისთვის დაბადებული  
და მხოლოდ შენ გაქვს უფლისგან უხვად  
ტრფობისა ნიჭი ცით მოცემული.

შენ ხარ იმედი ჩემის სიცოცხლის,  
მალამო ჩემის გულის წყლულისა,  
ვარსკვლავი გზისა მანებნებელი  
და წყარო შვების, სიხარულისა.

შენთან კავშირი მე ამაძლევს  
და მისცემს ჩემს სულს აღმაფრენასა,  
გულსა აღმიხვებს უკვდავ გრძნობებით,  
გამიმტკრებტყველებს დღეს სუსტს ენასა.

ის ტბილ ოცნებებს კვლავ დამიბრუნებს  
ის გამამტკიცებს კვლავ სასოებას,  
და ჩემსა სულსა, უფროვოდ დადილობს,  
ის შთაბერს გმირულს ვამბედაობას.

წიებებრძვი მაშინ ქვეყნიერებას,  
გაუმკლავედები ბოროტებასა

და მწე ვექნები დღეს დაჩაგრულსა  
სიხართლესა და სათნოებასა.

ხმა მალლა ვამცნებ მაშინ სოფელსა  
უწმიდაესსა იღვალესა,  
მძინარს მოძმესაც გამოვაფხიზღებ,  
ეკურნავ მამულის ჩემის წყლულესა.

ერთად გაეიყოფთ შეება—სიხარულს,  
ტანჯვის დროს ერთად დაეღვრით ცრემლებსა,  
კეთილ-შობილურს შრომამში დაეღვეთ  
ორივე სიცოცხლის ჩვენის დღეებსა.

მე უშინოდ კი დაეძაბუნდები,  
შემიპყრობს სოფლის უწესოება;  
შეუერთდები მქეთა-მჭამელთ გუნდს,  
დამიხლუნდებდა ჭკუა-გონება,

დავეყარებები ჩაგრულს სამშობლოს,  
მომშე ერისთვის გავხდები მკედარი  
და აღმგვის სოფლით დროთა ტრიალი  
ისე, როგორც რომ აღგვის მტყერს ქარი.

მაშ იყავ ჩემთვის ცხოვრების წყარო  
ცხოველყოფელი, აღმაფრენელი  
და, თუ რათიმე ვარგე სამშობლოს,  
უკვდავ იქნება შენი სახელი.

### სამეცნიერო კვლევა

#### დაფარული სენი.

(დასასრული\*)



ველად წოდებრივი განხეთქილება ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო. ეგ იმითი კი არ აიხსნება, ვითამც ყველანი დამკაყოფილებულნი იყვნენ, ვითამც ჩვენი წასული სოციალური მდგომარეობა იყო კეთილ-დღეობის და ბედნიერების მომასწავებელი, არამედ იმით, რომ საქართველო წარმოვიდგენდა არა რთულს, მხოლოდ „მთელს“ და ერთგვარ პოლიტიკურ სხეულს. ბატონ-ყმობამ სრულებით აღმოფხვრა ხალხში თვით-მოქმედების სურვილი, ხალხი ყურმოჭრილი მონა იყო; იგი აღიზარდა მიმივე უღელ ქვეშ, ასე რომ საერო საქმეების გამოარკვევაში მას არ ჰქონდა მინიჭებული არავითარი გაუღენა. რაიღ შეებება ჩვენს სასულიერო წოდებას, იგი მტკიცედ და გულ-წრფელად ემსახურებოდა საწმენო უსჯულს, იმის დატყუას გარეშე მტრისაგან. აი, ამ სახით აიხსნება „სიბრთველ“ და ერთგვარობა წარსულ ცხოვრებისა. ყველა იყო მიყნებულნი, ყველანი ემსახურებოდნენ ერთ ნაშალადვე მისწრაფების საგანს — შეზღუდულ ინტერესულ გარემოებათა... მაგრამ, ჩვენმა ცხოვრებამ სტრუქტურა თავისი ჩვეულებრივი მხედველობა და, სხვა-და-სხვა პირობათა საშუალებით, ზურგი უბრუნა ვადამბრულ წეს-წყობილებას. სამოც წლებში ნათლად გამოშუქდა ის მიმართულება, რომელსაც დაადგა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა. ამ ხანებში გამოაშკარადა უეპარკიონობა ძველ ეკონომიურ პირობათა. ყველას ლუკმა პურის შოენისათვის ფხიზლად ეჭირა თვალნი, ყველანი გაიმთქვალენ ნივთიერი საშუალების მოპოვებით. აქ ჩვენი გეგმა მხედველობაში ის ეკონომიური ზრდა, რომელმაც მოძრაობაში მოაყვანა ქართული ერი ღრმის ზედგაუღენს ქვემ დაბნადა მას ინტელიგენციამ, როგორც ვიცით, თავად-აზნაურობამ, როგორც მოწინავე დასამ, პირველმა აჩვენა ერს მავალითი თავის ჭკუა-გონების განვითარებისა. ამას მოჰყვნენ სხეებიც და ამ ფაზად შეუწყვეტილი მრავალდება რიცხვი ქართულ განვითარებულ დასისა.

### IV

თავად-აზნაურობამ შეიტანა გონებაგანვითარებულ წრეში თავისი მემკვიდრეობითი ხასიათი. მან

ვერ უტოვავო თავისი წოდებრივი ცრუ-შებდელობანი და ყველა ამისათვის იგი სასტიკად უნდა მოექცეს თავის თავს. იგი უნდა ცდილობდეს დროის შესაფერად გადააკეთოს თავისი ხასიათი, ბუნება, რადგა მხოლოდ ამ სახით აასრულებს წმინდა დანიშნულებას განათლებულ დასისას. მხოლოდ ისიც უნდა ეიქონიოთ მხედველობაში, რომ წოდებრივი უთანხმოების გაზეიადება მარტო თავად-აზნაურობა კი არ უწყობს ხელს, არამედ ამ მაყვე და შეცდომის გზას სხეებიც დადგენ — დაბალ წოდებათა წარმომადგენელის პირნიცა. ამ სახით განვიგორდა ის, რასაც ვხედავთ ჩვენ დაწინაურებულ თავად-აზნაურთა ცხოვრებაში. რასაკვირველია, აქაც დიდი ადგილი უჭირავს ზემოხსენებულ მემკვიდრეობითს წადილს. სიძულვილი, გამოაშკარავებული დაბალ წოდების წარმომადგენლების მიერ ნათლად განიძარტება, აიხსნება. მხოლოდ ყველა ამითი იგი მინც არ გამოართლება ისე, როგორც არ გამოართლება ამგანობის გამოჩენით თავად-აზნაურთა წოდება. ნუ დავიფიწყებთ, რომ ჩვენ გვაქვს მხედველობაში განათლებული პირები ორისავე წოდებისა. მათ მოეთხოვებათ სრული სოლიდარული განწყობილება ურთიერთ შორის. და თუ ეს დღეს არ არის, ამას თავის მიზეზი აქვს. ენახათ, რა ნიადავი ჰქონდა ამგვარ სენის დაბადებას.

რაკი გამოიხასხა და გამოცხადდა ეკონომიური პრინციპი, რომელიც თავს უქონადა შევიწროებულ მდებარე ხალხს, რადგან იგი იჩენდა მეტ მზნებას, სხვა-და-სხვა წოდებათა შეტაკება აუტოლებელ მოვლენად შეიქმნა. ექვს გარემო, რომ დაბალ წოდებათ, როგორც მოქმედ ელემენტს, აქეთ მკვიდრი ნიადავი ეკონომიურ ბრძოლისათვის. ამ მხრით, მათ მიენიჭებათ კიდევაც კუთვნილი უფლება. მაგრამ, ამას თავი დაენებოთ. ჩვენ არა გვაქვს მხედველობაში ეკონომიურ პრინციპების გამოარკვევა. ამ ფაქტებიდან მხოლოდ იმას დავსენთ, რომ ჩვენ წინ იმლებთა რთული მოქმედების ასპარეზი, რომელზედაც გამოსულა ორი მოპირდაპირე დასი. მათი განწყობილება, თითქოს ეერა ხერხდება. ვიმეორებთ, ჩვენ ელაპარაკობთ სხვა-და-სხვა ინტელიგენციების ურთიერთობაზე. დაბალ წოდების წარმომადგენელს აქვს გულში აღზრდილი სიძულვილი, უკმაყოფილება. ყველა ამას თავისი საფუძველი აქვს. იგი ჯერ უღმობელია, სასტიკი, ხშირად უხეში და უზრდელი, მხოლოდ ყოველთვის მტკიცე და პირში მთქმელი. ისიც, როგორც თავადი, მომეტებულ შემთხვევაში თავის ბუნებას ემორჩილება, რომელიც, მართალია,

\* იხილეთ «კვილი» მე-44 №-ის.


სალი და მრთელია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ისტორიულ აღზრდით შეუძლებელია, როგორც ახალ დროს შევეფერება.

სწინს, ქართველ ინტელიგენტს საზოგადოთ არა აქვს იმოდენა განებრძოვი ძალა, რომ უკუვალოს მანერ ჩნს-ტინკტები (წინაგრძობა), სწინს, რომ იგი ჯერ კიდევ გარემოებათა და სტიქიონის გავლენას ქვეშ იმყოფება. ნუ თუ განათლებული კაცო უნდა აჰყვეს თავის ენებათ-ღელვებს, მამა-პაპისაგან გადმოცემულს ამბავს: შურსა და მტრობას. მაშ რად გვიღდა სწავლა, მეცნიერება, თუ-კი ვერ გამოიყენებთ ირალათ ამგვარ სენის საბრძოლველად? რა ძალა უნდა ჰქონდეს ინტელიგენტს, რომლის წყევთა შორის ჰსუფევს უთანხმოება, უკმაყოფილება სიძულვილით? ყველა ეს არაფრით არ გამართლდება. მოკლენის გარკვევა — განმარტება არასოდეს არ მოასწავებს მის გამართლებას, გამოსარჩლებას. მანერ ფაქტების გამოაშკარაებება საჭიროა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რათა ნათლად დავინახოთ ჩენნი შეცდომები და ცრუ მისწრაფებანი. თუ რომ ინტელიგენტსა არ ძალ-უძს ევლური ხასიათის წინა-გრძობას შეკავება აღმოებება, თუ არა ცდილობს იგი ამ აურ-ზაურის დაშლამანებას, მას სხვა რაღა მოეთხოვება ამ შემთხვევაში? თუ ეს სენი არ აიცილა, იგი უძლურია და უმინშენელი, მას ჩამოერთმევა უპირატესობაც. ნამდვილ განათლებით აღჭურვილ პირს კასტიური (წოდებრივი) ინტერესები კი არ აქვს მხედველობაში, არამედ საერო, საზოგადო. პრინციპიალურად იგი უარს არა ჰყოფს ამით-თუ-იმ წოდების მნიშვნელობას, საფუძვლიანობას წარსულ დროში. მას ყოველთვის ახსოვს, რომ ისტორიაში შემთხვევითი არა არის-რა. ყველაფერი ისე რიგდება და მიმდინარეობს, როგორც შევეფერება სხვა-და-სხვა ვითარების. ბუნების და წეს-წყობილების პირობათა, სხვა-და-სხვა საისტორიო გმირების მოქმედებას. ნუ თუ რამდელა

მე წოდება და მწაშევა მასში, რომ მას მიუძღოდა ქვეყნის წინაშე გუთუნალი მნიშვნელობა? ან კიდევ, ნუ თუ წყველით და სიძულვილით უნდა ევიგონებდეთ, რომ ერთ წოდებას მეტი გავლენა და უფლება ჰქონდა და მეორეს ნაკლები? განა ყველა ეს და მშვიდებული და მეცნიერებს შუქით მოფენილი განმარტებაა ცხოვრებისა? თუ იმდენი სიბრძნე არა გვაქვს, რომ გარემოებას ცნობიერების და ლობიერების თვლით შევხედოთ, მაშ ინტელიგენტად რალათ მოვაქვეს თავი; ხომ დარწმუნებით ვიცით, რომ თავის ღღეში არ აღმოიფხრება ცოცხალი და მომქმედი დასი? ხომ ისიც გვესმის, რომ ეინც მოუშვადებელია და უღონო საზოგადო ბრძოლაში, ის თავის-თავად დაღვეს სულს, მას არა აქვს მერმისი. რა თუ ყველა ეს ავტო, როგორ არ უნდა მოველოთ ასეთს შეუფერებელს საქციელს? რისთვის ვაქარწულებთ ჩენს ძალ-ღონეს წოდებრივს განხეთქილების გაზვიადებაში, გაცუცხლებაში?.. ამ დაფარულს მძლავრ სენს პირდაპირ უნდა შევხედოს კაცმა და დაჰგმოს მისი უკადრისი ხასიათი. ქართულს ინტელიგენტსა ჰმართებს სიფრთხილ თავის მოქმედებაში. რაკი მას დაებადა იღველი, რომელსაც იგი უნდა ემსახუროს თავ-გამეტებით, ყველა მისი შინაური საქმეები, ეკონომიური საკითხავები და სხვ. ისე უნდა აწარმოოს, რომ ამ მხრით მას არ ეტყობოდეს წოდებრივი განხეთქილება და ერთმანეთის ძაღლ-კატურად ყურება. ქართველს ერს ეტყობა გამოუხიზლება და ამას ყველანი სიხარულით უნდა მივეგებოთ. სხვა-და-სხვა საკითხავების მოსარჩებლად დასაწყობათ ცოდნა, სწავლა, მეცნიერება მოვახმაროთ. უნდა აეტყობოთ ჩენს არსებობის გულისთვის ბრძოლა და არ გამოუღვდეთ პიროვნულს წყრილობანს ენებათა ღელევა.

ქ. ვარშავა 1893 წ.

ა. ჯ.



სუმახსი იმერულად თირქილია



მე, როგორც ერთი მემამულე შორაპნის მას. რისა, დაზიანებული გახლავართ ფილოქსიის მითერ უწყალო განადგურებით და უნდა გამოტყობილი მოვახსენოთ, დიდი ყურადღებით ვადვინებ თვალს ქურნალ-გაზეთების ცნობებს, შეკრე-

ბილს ან გამოცდილი მემამულეების ნავარჯიშებიდან და ან მეცნიერების უკანასკნელ აღმოჩენიდან; მაგრამ საუბედულოდ ღღემდის ჩენ შორაპნელ მემამულეთა საზუგეზოდ და ხალხის ეკონომიურ ცხოვრების განადგურებელ მტრის — ფილოქსიის შესახებ — არც ცხოვრებას მოუცია რა და არც მეცნიერებას. საფრანგეთის მეცნიერთა მოსვლით ჩენნი ხა-



ლბი სულ უფრო სასოწარკვეთილებას მიეცა და დღითი დღე ეს ნუგეში, ცხოვრების შემკავებელი სასარკინო — ევენახები ხელიდან გვეცლებოდა. «ჩვენს უბედურობას ჩვენისავე თვლით ეხედავითა» ამბობს გულდამწერი გლეხობა. იმ გლეხს, რომელსაც შარშან ორასი ჩაფი ტკბილი მოუვიდა, დღეს სამოცი ჩაფი მოუღის და ვისაც სამოცი მოსდიადა, ის სხვას სთხოვს ქაჯას წყალ-დასახმელად, რომ სულ უღიწონოთ აღარ დარჩეს ზამთარში მაინც. ამ გვარ გაჭირვების დროს მკითხველიც მიხედება, თუ რა ბეჯითად ვადენებდი თვალ-ყურს ვაგვითის ყოველგვარ ცნობებს ფილოქსერის შესახებ. აი, სწორედ ერთი ამ გვარი ცნობა, ამოღებული ფრანგულ სამეურნეო ჟურნალიდან ბ. კ. ბაქრაძემ გვაცნობა ამ წლის „იერიკის 191 №-ში, რომელსაც ჩემთან ერთად ყოველი მემამულე, სადაც კი ფილოქსერა მტარავლობს, დღი სიამოვნებით წაიკითხავდა, რადგან ფილოქსერის წინააღმდეგ წაშალი ერთ გვარი მცენარის წვენი გამოვადგარა, რომელსაც ჩვენებურად თრიმლს ეძახიან. დღეს ამის შესახებ „კვალის“ მე-41 №-ში ბ. ილია ალხაზაშვილი კიდევ უფრო განმარტებს ამ ცნობას და კითხულობს, რომ სუმიხი თუთუბოა, თუ თრიმლია?

„უნდა მოვახსენოთ, რომ დღემდის ეს სიტყვა არ გამეგონა და იმ წამს ჩვენებურ ლექსიკონებს მივმართე და, აი, როგორ ხსნის საბა სულხან ორბელიანი თრიმლს და თუთუბოს: თრიმლი — მცენარეა. იქვე რედუქტა შენიშნავს, რომ ამ ჯაგის ფოთოლს და ქერტკ ტყავების სილაქში გასატარებლად ხმარობენო. თ. რაფ. ერისთავის ლექსიკონი კი განმარტებს ამ მცენარეს: თუთუბო *Rhus Coriaria L.* თრიმლი — გრუ. ფუშელი. — *Имер. Рай дерево, Rhus Cotinus L.* შეზღვევ გავედი ს. კვალისში, სადაც ჩემი დაზიანებული მამული მდებარეობს და ვკითხე მუშებს.

— რა მცენარეა თრიმლი, გინახავსთ თუ არა? როგორ არა, ბატონო!

— ყელამ ერთხმად მითხრა: ჩვენი მთა სულ თრიმლით არის სავსეო.

თუთუშო იცით, რა არის?

— არა ბატონო?

— სუმიხი?..

— არც ეგ ვიცით. ეგები არ გაგვიგონია და თრიმლი კი ვიცით და ბევრიც არის ჩვენს ტყეშია — მითხრეს მუშებმა.

— რისთვის ხმარობთ ამ მცენარეს? კიდევ ვკითხე მათ.

— ამ კითხვებზე იქვე მყოფმა ერთმა დედა კაცმა მიპასუხა:

— თრიმლის გულს მოვხარავთ, ბატონო, წყალში და ძაფებს, ან აბრეშუმს ეღებავთ ყუითლად; ძლიერ კარგათ ეცილება ძაფს მისი ფერი.

— შეგიძლიათ მაჩვენოთ ეს მცენარე?

— როგორ არა, ბატონო, წამობობჩანდით და ნახათ.

მეორე დღეს წავედი და ენახე ეს მცენარე, რომელიც იზრდება ბურქებზე, უფრო ქვიან ადგილებში და ემგზავსება უფრო იელს, თუმცა იელზე უფრო მაღალი იზრდება. ტანი უსწორ-მასწორი აქვს და გული კი ყუითელი. ფოთლები მორგეალო და წითელი ღეროებიანი. დიდროვან ფოთლების ძირში კიდევ რამდენიმე პატარა ფოთლები ასხია. ეს ფოთლებიც ისეთი სახისანი არიან, როგორც დიდი ფოთლები. მცენარის ნაყოფი წითელ-წითელია და სიდიდით ცოტა ფეტვის მარცვალს აღემატება. აყვავება წითლათევე იცის და ნაყოფის გემო კი სრულეებით მგავე არ არის. თუმცა მე ეს გემო ახლა ვე-„შინვე“, როდესაც მარცვლები დამკვარი ჰქონდა, მაგრამ არაფრის სიმკაცის გემო ნაყოფს არ ჰქონია, ასე, რომ როდესაც ბ. ი. ალხაზაშვილის აღწერილობას შევადარე თრიმლი, სწორეთ იმისავე ნიშნები არის ჩვენში — იმერეთში და ეძახიან მარტო ამ ერთ სახელს „თრიმლს“; არც თუთუბო, არც სუმიხი და არც ბ. რაფიელ ერისთავის ლექსიკონში ნახმარი ფუშელი იმერეთში ხალხმა არ იცის. ეს მცენარე იმ დღესვე მოვთხარე რამდენიმე ძირი და თეითელს ფილოქსერით დაზიანებულს ვაზს მიურკვე ახლოს, რომ მისი ჩამორცხილი წვენი პირ-დაპირ ავათმყოფ ვაზს ძირში ჩაუვიდეს. ენახათ, რა ზედმოჭყელება ექნება ღმერთმა ჰქაას, ჩვენი საცადი დავეირავებინებელიყოს და ეს უბრალო მცენარე ფილოქსერის წინააღმდეგ მებრძოლედ მტერად გამოავლემოდეს. რა ცელილებას მიიღებს ჩემს მამულში ამ მცენარის გაშენება, ამის შესახებ ევლები თავის დროზე ვაცნობო ჩვენს მემამულეებს.

თეოფ. ხუსკიავი

### მკვდრის სიყვარული

(ლერმონტოვიდან)

**ა**ე მფარავდეს ცივი სამარგ  
 სამუდამამოდ დაღუძვებული;  
 მრწამდს მარადის, ჩემო ლევაბეზე,  
 მაინც შენ გეტრფის ეს ჩემი სული.  
 სიყვარულისა გიჟი წყურვილი  
 მკვდარსავეთ თანა მსდევს სამარეში,  
 ვერა ეშორდები მას მშვიდობისა  
 და დაღიწყების უცხო მხარეში,

სრულ უშიშრადა უკანასკნელ წამს  
 დაესტოვე მისთვის ქვეყნიერება—  
 სიტკბოს ეელოდი განშორებისგან  
 და არსად არის ეს განშორება.  
 ენახე შეენება ხორკთ-სხველთ სულთა,  
 მაგრამ მსწრაფელ სევდამ დამიგო მახე,  
 რადგან ციერთა ლამაზს გროვაში  
 ეერსად მოგძებნე, ვერ დაგინახე.

რათ მინდა ბრწყინვა წუთის უფლების,  
 წმინდა სამოთხე, მისი შეენება!  
 მე ქვეყნიერთა ენებათ გროვიანი  
 წამომყვენ! სული მათ ვერ სცილდება.

ვეალერსები მხოლოდ ერთს სურვილს,  
 ჩვეულს, სიამით აქ ჩემებურად,  
 ენატრულობ, ესტირი და ეიჭენეულემ,  
 ჩემო სულისდგამე, კვლავ ძველებგზრად.

თუ სხვისი სუნთქვა შენთა შეენიერთ  
 ლაწვთა როგორმე ოდნავ ეტება,  
 ეს ჩემი სული ყოუ მწუხარებით  
 მოუთმენელად მაშინ თრთოლდება.  
 და როს ხან-და-ხან ძილის წინ ჩემად  
 შენ იმეორებ ვისამე სახელს,  
 შენი სიტყვები, ჩემო ღიღებავ,  
 ცეცხლსა მიიჩენე უზომოს, დამბრწუნელს.

შენ არ გაქვს ნება სხვა შეიყვარო,  
 ჩემსა გარეშე არა გაქვს ნება:  
 წმინდა აღთქმამან შენ უკვე მკვდართან  
 შეგაკავშირა, ჩემო ოცნება!  
 ოხ, მე არ დაესდევ, ე მაგ შენს შიშსა,  
 ფუტკია ეგე შენი ვერება:  
 დაღიწყებისა, მშვიდობის მხარე  
 მე არ მწაღიან, არ მეტიერება!...

გ. აბაშიძე.



### წმინდა მოწამენი

დავით და კოსტანტინე

**მ**ოველს ორს ოკტომბერს ქუთაისსა და მთელს  
 მის გარემო სოფლებში დიდი მოძრაობა შეი-  
 ქნება ხოლმე. დიდი და პატარა, ქალი და კა-  
 ცი, ყველანი მოწამეთას მიეშურებიან საღღესასწაუ-  
 ლოდ.

ქუთაისიდან ხუთი ეგრისის მანძილზე აღმოსავ-  
 ლეთით მიყვება ერთი კლდიანი სერი, რომელსაც  
 ეტყვიან მწვანე ყვავილის მთასა. ის არის ოკრიბის  
 ქედის ბოლო, ჩაწოლილი ირიბად რიონსა და წყალ-  
 წითელას შუა. ქუთაისის ეკვალიდან გავმართება  
 ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყიბულის რკინის გზა და  
 როცა მისი ლიანდაგი შემოუხვევს მწვანე ყვავილას

აღმოსავლეთით, მერე ეს გზა გაქრის რამდენსამე  
 საყენზე ამართულს კლდეს ორ მაღალ კედლათ. გამოპ-  
 ყოფს თუ არა თავს მატარებელი იმ კლდის კედლე-  
 ბიდან, მაშინვე წინ დაეხატება ყოველს იქ მჯდომარ-  
 ე მგზავრს შეენიერი სურათი მოწამეთის ხეობისა.  
 ამავე ღროს მის თვალწინ უეცრად ამოიჭრება წმინ-  
 და ეკლესიის გუმბათი, რომლის დანახვაზედაც ყო-  
 ველ კაცს გაუეღიებება გულში რაღაც ტბილი სა-  
 სოება და უნებლიეთ თავში გაუზრბენს ეს ფიქრი:  
 „ნეტავი იმას, ეინც აქ ამ სულის დამამშვიდებელს  
 მიღამოში მოიპოვებს ჭიბ ბოროტისგანაო“. რკინის  
 ქვეყნის დაუცხრომელ ჭიბ ბოროტისგანაო. რკინის  
 გზის ლიანდაგიდან აღმოსავლეთისკენ დაეფინება  
 მწვანე ბუჩქნარი, რომელიც გადაჰყურებს მიმობე-  
 ულს, თითქმის უძირო კლდის ნაპარალში და იქ

უფსკრულში აღმასის გველსავეთ ბრწყინვალედ მი-  
კლანება წყალწითელა, რომელიც ისე გარშემო-  
რტყიმა თვით მოწამეთის უღაბნოს, თათქოს კუნ-  
ძულად მოუწყვეტიაო იგი კრდელის დედა-მიწისა-  
გან, რომ წუთისოვლის ბოროტების ტალღა ვერ  
მისწედს ამ წმინდა ადვლის და არ შევაშფოთოს  
ჩვენთა მამათ მთავართა წმინდა ძელები. აქ ამ წმინ-  
და უღაბნოში განისვენებენ ღვაწლ-შემოსილნი არ-  
გვეთის მთავრები, რომელთაც მეშვიდე საუკუნეში  
დასდდეს თავი სამშობლოსათვის.

ეს მოხდა იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთში  
გაძლიერდა მამქანის სარწმუნოება და არაბთა ტომ-  
მა დაიფლო მთელი დასავლეთის აზიის ქვეყნები და  
შეხუტა ქრისტეს სარწმუნოება. „მაშინ უთხრეს ბი-  
ზანტიის კისარს ერეკლეს, ვითარმედ შემოვლენ ავა-  
რიანიწი შამად და ჯაზირეთად, რომელ არს შუა მდინარე  
(ტიგრისა და ფრატს შორის ქვეყანა) და გამოვიდა ერე-  
კლე ფილისტიმედ, რათამცა ეწყისა მუნ; ხოლო იყო მუნ  
მონახონი, კაცი ღვთისა, და მან რქვა მევესა ესრეთ,  
ვითარმედ იელტრადეთ (გაიქციეთ)... რამეთუ უფალ-  
მან მისა აღმოსავლეთი და სამხრეთი სარკინოზთა,  
რომელ არს თარქმანი მისს სარას ძალდა \*).. მაშინ  
დააშენა ერეკლე მევემან სვეტი და დაწესა მასზე-  
და: „შვიდობით, შუა მდინარეთა და ფილისტიმო,  
ვიღრემდის წარხდეს შეიდი შეიდუღლნი \*)..“

საქართველოში არაბები შემოესიენ მირ და  
არჩილ მეფეთა დროს მურვანყრუს მხედართ - მთე-  
რობას ქვეშ. ყრუ მისთვის ეწოდებოდა — ამაოზს  
მატიანე, რომ თავის ხლებულებს მეორედ არ გაა-  
ბედდებოდა რჩევის თქმასაო, ესე იგი ერთსა და იმა-  
ვე საგანზე მეორედ ხმას არავის ამოაღებინებდაო.  
ამ დროს არაბების ჯარები მკალიასავით მოვეყინენ  
მთელს ჩრდილო-აზიის ქვეყნებში სპარსეთ-სომხი-  
თის და მოიწია საქართველოზე რისხვა ღვთისა. მე-  
რვან-ყრუ შემოვიდა სამცხეს და დაებანავა ოძრხეს (ა-  
ლანდელის ახალციხე-ახალქალაქის მახრებში); ხოლო  
მისი წინა-მებრძოლი საუკეთესო ჯარები ჩამოადგა  
არგვეთს, რომ დაეპყრა მთელი დასავლეთის საქარ-  
თველო შავი ზღვის პირებანა. როგორც სინანისი-  
ნი უნდა გადმოსულიყვენ იმერეთში ფერსათის მითი.

\*) სარა ხომ აზიანის მფულე იყო, რომლის მოაბლეთთან,  
აგართან, აზიანში ეყოლა შვილი და დაარქვა სახლად იმსილი. სა-  
რას ეს ნახიპყარი ვაჯგოა დღლითორთი უღაბნოში და ჭკონებენ, რომ  
არაბნი შოაბოვებენ მისგან და იწოდებიან სარკინოზებად, ანუ სარა-  
ციანებად, ესე იგი სარას ძალდებად.

\*) შეიდუღლი ორას-ორმოცდაათს წლიად არის ნაქვენები  
«ქართლის ცხოვრებაში»

იმ დროს არგვეთი იყო ცალკე სამთავრო. მის სა-  
ზღვრებს შეიცავდა დასავლეთით რიონი, ჩრდილო-  
ეთით დიდი კავკასიის ქედი, აღმოსავლეთით ლიხის  
მთა და სამხრეთით ფერსათის მთები. დღეს ამ საზ-  
ღვრებში ძვეს აღმოსავლეთის კერძო ქუთაისის მახ-  
რისა, აგრეთვე რაქვისა და შორაპნის ქვეყნები. თუმ-  
ცა არაბის მხედართ-მთავარმა და მისმა ურიცხვმა  
ლაშქარმა თავ-ზარი დასცა მთელს აღმოსავლეთს და  
ბიზანტიის კისარს, მაგრამ მან ვერ შეაზინა სამ-  
შობლოს სიყვარულით ვალტაცებულნი და ქრისტეს  
სარწმუნოებით გამსჭვალულნი მთავარი და დავით და  
კოსტანტინე. იმათ შეკრიბეს რჩეული გუნდი მე-  
ომართა და მხნეთ მიეგებენ არაბებს ფერსათის  
მთის სიფეროვში.

„ქართლის ცხოვრების“ მოწმობით დავითი იყო  
შეერთი შესახედვი თვალტანადი, წითურის სახისა,  
წაბლის ფერი წვერ-ულვაშით და სქელი თმით და  
შეენებული. მისი დამთავრებული წვერ-ულვაში ამ-  
ტიცებდა, რომ იგი უნდა ყოფილ იყო მაწიფელი  
ვაჟკაცი. მისი უმცროსი ძმა კოსტანტინე კი იყო  
ახალ ამწვენებელი წვერ-ულვაშიანი ჰაბლუკი გმირი.  
მათი პირველი შეტაკება უწყალო მტერთან ემკზაე-  
სებოდა გრივალს, რომელსაც წინ ევრა დაუდგება-  
რა და ყოველსავე დაბრკოლებას სპობს. მათს სიფი-  
ცეს და მხნეობას ვერც მურვან-ყრუს რჩეული წი-  
ნა ჯარი გაუმარდა; იგი ერთიანად გასწყვეტეს არ-  
გვეთის გმირებმა და შეაძრწუნეს მრავალ ძლევა-მო-  
სილობისაგან გაზვიადებული გული მურვან-ყრუსი.  
შეიტყა თუ არა მამქანის მშოსანმა თაყიბი რჩეული  
ჯარის შემუსვრა, გამძვინდა და გამწარებულმა შე-  
მოიკრა ხელი ოლყაზე, გაიწწა თმა და წამოიძახა:  
„ეინ არს იგი, რომელმაც შემეძარა ასეთი წინაღ-  
მდეგობა და წინ დაუდგა დიდსა მოციქულსა მოჰა-  
მედს, დედის ძმას ჩემსა“?!. ის მაშინვე აიყრა მთე-  
ლი თავისი ჯარით და სწრაფ გამოემართა არგვეთს.  
მისი ჯარი იყო ურიცხვი, როგორც ქეიშა ზღვისა.  
მამადიანებმა მოიციეს მთა და ევლი, დასწყეს ტყე-  
ბი, შეესიენ ყოველ კუთხეთს ქვეწიხს, აავეს სოფ-  
ლები ჯარით და შემოიტყვეს მთელს სამთავროს.  
ეინცაიწინ გადურჩა, ტყვეებში და კლდის ნაპარტეზ-  
ში შევიფარეს თავი, დანარჩენი ხალხი გასწყვეტეს.  
დავითსა და კოსტანტინის მ.ნე ჯარმა დადგა აქ  
თავი მამულისათვის; ხოლო არგვეთის მხენ მეომარ-  
ნი, თავისი ხლებულებით შეიპყრეს, შეკრეს და მი-  
გვარეს ქვეწის ძტარვალს. როდესაც მურვან-ყრუმ  
შებნდა გმირებს, რომელთა სახესაც შიში არ ეტყუ-  
ბოდა, არამედ მასში გამოამტყველებდა გმირული



წმინდა მოწამენი დავით და კონსტანტინე

სული და განუღრველი გული, მეტის სიბრძნისაგან გაღიზიანება: „ეინა ხართ თქვენ, ქეთა და შეშათ მსახურნი, რომელთა იკარგეთ ჩემთან ბრძოლაო. ნუ თუ არ იცით, რომ მე ვარ დისწული დიდისა მოპავედ მოციქულისა, რომლისა სჯულსა მონებს მთელი არაბეთი და სპარსეთი და მე დამიმორჩილებია ყოველი ქვეყანა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდეო.“

„ტყუილად ნუ იცინი მტარელო!“ — მიუგო და ეითმა — ვე შენი გამაჯრებმა და დიდება წუთიერი და მალე განქარდებისო. ჩვენ გეძლია არა შენმა ურიცხვმა ჯარმა, არამედ ჩვენმა ცოდვებმა, რომ ქრისტეს სჯული მტკიცედ ვერ დაეიმარხეთო...“

მტარელო გავიხსენებდა ასეთს გმირულს პასუხზე და უბრძანა თავის ხელქვეითებს: „შემოუღწევეთ ყბები მგ ურწუხურებს და სცემეთ კეტებითო...“

(შემდეგი იქნება) გ. წერეთელი



## პ რ ი ს ი ს ა

„მოგაქვდა მშობისა და ურთიერთობისა!“

(თბუღლებანი ი. დავითაშვილისა, 1890 წ.)

### III



ოლოს არ მიინდა ჩემი წერილი დავსარულთა ისე, რომ არ ამოესწერა ზოგიერთი ადგილი მინ ილია ჭავჭავაძის „სიტყვიდანაც“, რომელიც გასაოცარის ქვეპაქუბლით წარმოუთქვამს „დიდებულს პოეტს“ პანაშვიდის დროს კალაუბნის ცელესიაში. იგი თურმე ეტება და აუასებს „ოისებ დავითაშვილის მოღვაწეობასა და მწიფელობას“ და, რასაკვირველია, იგი „სიტყვა“ დიდი განძია, ფრიად ძვირფასია ჩვენთვის. თუმცა, გატეხილი უნდა მოვახსენოთ, მე ცოდელი... მაგრამ არა... ეინ იცის, იქნება თქვენმა გამჭრიახე მახვილ-განიერებამ გასქრას როგორმე და შეიგნოს იმ „სიტყვის“ აზრი, რომელსაც „ორბანი, არწინი ვერ მისწვდებიან“...

აი, დასტებით და დასიამდით: „დადუმდა საუკუნოდ კიდევ ერთი „მთქმელი“ მოსწყდა ჩვენ ცას ერთი... მანათობელი ვარსკვლავი!... მთქმელი, რომელსაც გაუმწიდილი აქვს „თვალნი ზე ზეცისა და ქვე ქვეყნისა საიდულოთა მხედველად, ყურნი ზესეცისა და ქვესეცისა უტანურთა ხმათა მსმენელად, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯის ცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად“ ... მტრობა, ძულბა, ჯაფრი, შურის ძიება შორს არის მისგან (ესე იგი იოსებ დავითაშვილისგანა). მისინათელი სული არ იკარებს ამ ჭუჭყსა, ამ ჭანგსა. ამისათვის იგი მეტად სულგრძელია,

მეტად ყოველთა შემწყნარებელი და მიმტყვებელია (შესაძლებელია „დიდებული პოეტი“ დაახლოებით იცნობდა ი. დავითაშვილს, ვითარცა „დიდბუნებოვან კაცსა“, რომელსაც... უკაცრავით კი ვართ, და ამ გვარი კაცებისა, რა მოგახსენოთ, მხოლოდ ეიცით ღმერთი, ყოველთა შემწყნარებელი მაცხოვარი, რომელმაც ქვეყნის მოალაღატე მწიგნობარნი და ფარისეველნი შოღლით გარეკა იერუსალიმის ტაძრიდან, როგორც დიდბუნებოვანი კაცი (!?) ხოლმე“. აქ „დიდებულს პოეტს“ მოჰყავს ი. დავითაშვილის ერთი სრულიად უხეირო, უნიჭო ლექსი, სადაც ნათქვამია, რომ

კეთილსისათვის ბოროტად  
თუ ვინმე გხდადესო —  
სამაგვაროს ნუ უჩამ...“ო.

და განაგრძობს: — „ეს მარგალიტები იმ ზღვიდან არის ამოღებული (თუ ტოლსტოის „ფილოსოფიიდან“ არის ამოღებული? მე მგონია, „დიდებული პოეტისათვის“ სათაქლო სრულიადაც არ იქნებოდა, პირდაპირ რომ გამოეცაქარებინა ეს ამაგი. მე თქვენ გეტყვით, ბრმა მიზანძევი ჩამოართმევდა ვინმე თუ? აქ საკვირველიც არა არის.რა. საქართველოს „დიდებული პოეტი“ და რუსეთის „დიდებული ფილოსოფოსი“ ერის აზრს ალიარებენ და მეტი არაფერი, რომელსაც ერის გულს ეძახიან... აქ თავის დიდებას, თავის დიდბუნებოვანობას, სულ-გრძელობას თვითონ ერი მეტყველებს (მე!), თვით ერი ჰლადადებს ერთის თავის ქეშმარიტის შეილის ბავითა...“

„დიდებული პოეტი“ ღრმად დარწმუნებულია (ჩვენ ხომ ამაზე ვქვს ვერ შევიტანთ!), რომ გლეხი-კაცი დიდებით მოსილია, დიდბუნებოვანია, სულგრძელია და, დალოცვილს, მაინც უყვირს... „საკვირ-

\*) იხილე კვალი მე-44 №-რი.

ველიაო, რომ მშვიდობის მოქმედი მატიქელი იქიდან მოდის, საცა ესოდენი გულნატკენობა ჩვენგან (ეინ ჩვენგან?), ესოდენი მიზეზთა წყრომისა და სამღერავისა, დიად, იქიდან მოდის იგა სიარკვათა ყოფილად მხსნელას სიგარუქდის და მოაქეს მწკან შტო შერეკების, მძობისა და უროიერთობის! ბოროტი არ გავსოვსო, ამა ძიური ხელიო! გიმძობთ და გვიმძობთო! (ბივოს! გლქითავან წარმოგზაწერილი მოციქული მძობისა და უროიერთობისა ვიდაცებს უბედავეს: გიმძობთ და გვიმძობთო! „ახირებულ პრეტენზიაა, თქვენმა მზემა“) ამისთანა მარკალტები მარტო ზღვის ძირშია (ქვეშარიტად, ამისთანა პრეტყელ პრეტყელი ფრანზეტი ზღვის ძირშია) არ მოიპოვება და მარტო „ლიდებულის პოეტის“ „ლიდ-ბუნებოვანობის“ სრული საკუთრებაა). ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და ღიდი საქმეა ვისაც ღონე შესწევნია და თავის საკუთარი გული და ძვალი იქამდინ ჩაუწყდენია. ჩვენში ბევრი ვერ დაიქადებს ამასა. (ნამღვილია).

„სიტყვა“ თავდება ასე: „კიდევ იკითხათ: ვინ იყო აწ განსვენებული იოსებ დავითაშვილი? — და იმეორებს კიდევ: „იგი იყო კაცი, რომელსაც განწმენდილი ჰქონდა თვალნი გლქითა გულის საიდუმლოთა მწახველად, ყურნი — გლქითა გულის ძგერის უწყაურთა ხმათა მსმენელად, ხელნი — გლქითა მჯგის ცემის შემატყობად და ენა, ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად. გული ერისა იგივე ზესკნელია და ქებსკნელია (უყურებთ რა ამბავი ყოფილა?) და ამიტომაც თვალისა, ყურისა და ხელის იქამდინ მიწყდენა, — მხვედრია მარტო რჩეულის კაცისა და ერთი ამათკანი იყო იგიც, ვინც ღლეს დეკარგეთ. ყოთრეულ ერის სასწებელი მისი!...“)

მასობეს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწიხის ტფილისში გადმოსვენებისა და დასაფლავების დროსაც „ლიდებულმა პოეტმა“ საღმრთო წერილის ესევე შესანიშნავი სიტყვები მოიყვანა და, მამასადამე, ეს ორი

კაცი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ი. დავითაშვილი ნიქით თანაბარს მნიშვნელობის ხარისხზედ დააყენა... თუმცა არა... იოსებ დავითაშვილი გაცილვებით უფრო მაღლა უნდა იდგეს, რადგანაც „ერის გული ზღვაზე უფრო ღრმაა და ღიდი საქმეა, რომ მშვიდობის მოქმელს მოციქულს თავის საკუთარი გული და თვალი იქამდინ ჩაუწყდენია... და მოდის იგი სიტყვათა ყოველად მხსნელის სიყვარულისა და მოაქეს მწყანე შტო შერიკებისა, მძობისა და უროიერთობისა“...

ჩენი მხრით შენიშვნებს აღარ საქიროებს ეს შესანიშნავი „სიტყვა“ და ვიტყვით მხოლოდ, რომ კაცს ღიმილი მოსდის, როცა ყურს უგდებს ამ უშინაარსო, გამოცლიერებულს ზოგადისა და ბუნდის სიტყვების საშინელს ხაფა-ხეთქსა და დვილად რწმუნდება, რომ „ლიდებულს პოეტს“ „მძობისა და უროიერთობის მოციქულს“ „მოღაწეობა და მნიშვნელობა მართლა რომ „ლიდებულად“ დაუფასებია და ეს „დაფასებაც“ გამზადარა მეტად ძვირფასი, „ხელის-ხელ საგვამნები“...

საწყალობელი დავითაშვილი!.. ეინ იფიქრება, რომ მას სიკაცხე გამოარებულს, საფლავში ასე შეუბრალებლად გასქიამედენ და „ლიდებული პოეტიც“ იმდენს ოსტატობას იხმარდა, რომ . რწყილს აქლემს აშობინებდა. იმის მაგიერად, რომ დავითაშვილის მწარე ხვედრს ათასი ფიქრი და ზრახვა აღეძრა ჩვენს გულში, გლქე-კაცთა ამ გვარ შეიღების უბედურს ყოფას მიქცია მთელი ჩენი ყურადღება; საქმისათვის პირ-და-პირ ნამდილის მოწიფულის გულითა და გონებით შეგვეხება და წრფელის სინდისით რაიმე უხელ მკიროედენი დახმარება აღმოგვეჩინა, — ჩენ სიკელიის ქაშს, სამგლოვიაროთ ფარისევლებივით შევიკიბებით „თითო ცრემლის დასაფრქვევად და გლქე-კაცის უკანასკნელს ხსენებავედ“ ესტირით... ესტირით... და კიდევ ესტირით...

საკიერეელია ჩენი ლიტერატურისა და ინტელიგენციის ყოფა! რადედაზრებსა და იდეაზზედ ამყარებს იგი თავის მოქმედებასა და წარმატებას, სასაველდებულო საგანი წაუბოყუნებია მას, რომ თვლი პირ და-პირ გაუმტკობს და გააკციოს ამ დროის საქიროებანი და მოთხოვნენი ენანი და უბედობლო, ნახვერად წელში გაწყვეტილი და პატეაყრილი ერი სასუღამოდ არ განადგურდეს და არ აღიგავოს დედა-მიწის ზურგიდან? ლიტერატურა და ინტელიგენცია გრძობა-გონებით დაცემულა. ვათახსირებულა და ჭირიკანაობს, ან ბრმა მიბაძვასა და უშინაარსო ფრანზების ზღვას

\*) დიდებული პოეტისა სიტყვის სრულიად წიდაღეს „ერთი იოსების მსოფლმელ მეგობართანის“, ცნობილის გრ. ყოფიძის სიტყვები: თვლი თვალ ხალხისა და ჩენის ქვეფის თვალმაც მივიდა უკანასკნელს ივან, ტურთა კახეთში ავიყო საუწყლო ბინა და შეწვირბო თვლავში შევიტრღობი და განგესენვა ტანჯვითავე, ტანჯულთა და წამებულთა ეგორავი ბრწყინვალისა ატორის, ნ. ურბნის „კრიტიკაც“ დაუწერია: მისი (ეს იგი იოსებ დავითაშვილის) ჩაქი და მანე (ჩანავი და მანე... მანე და ჩანე... მწი კრიტიკა მას) ნაწიფი გლქეთრ გემოვნებულ არის მოწყობილი (დიად, ზედ მოწყობილი)... იგი გლქები იყო, გლქების მწუხარებისა და სვედადარდების მგრძობავი მგოსანი (ვავო, კი მგოსანი ყოფილი, თქვენმა მზემა) იგორავი ბრწყინვალისა ატორი, ნ. ჯანაშვილებსავით (ცნობილი ისტორიკოსი, ბ-ნი ურბნელი, წარმოადენით ვახაშვილია კრიტიკოსი ყოფილი და, ქვეშარიტად, დიდად სისაცოლთა, ფრად საწყუარბო რომ არ იყოს, ესეთი ამბავი. ავტ.

დაუნთქავს, ჩაუყლაპავს! სწორედ მაშინ, როდესაც საშინელს რყევამა ერის ცხოვრებამ. უმრავლესობა სიღარიბისა, სისაწყლისა და განუსაზღვრელის უმცირებისა და ზნეობის ზრუნვების ბნელეთს, წყვილადს მოუტყავს. ჩვენმა უთათრობამ და მოუმზადებლობამ ჩვენი ქვეყნის ქალაქების ნიდაგაზედ, თვით გამწვევებულს ბრძოლის დროსე, ჩვენივე ხელით დაგვკლა და არც კი გვრცხვენია, არც კი დასწოთლდებით, რომ ამ გარემოებას ჭირვეულ და მტრულ ბალოდით სხვებს ეპარალებთ. დება-სოფლებში? მ... კმარა! გულს მაინც ნულარ ვიშვარებთ და ვიკლავთ, მე და შენ, ჩემო მკითხველო!..

ლიტერატურა, რომელზედაც გარემოებამ დაამყარა ჩვენი ბედში მყოფი ერის ერთად ერთი იმედი, საკირველია, რომ მარტო ჩვენი გამხდარა ბრძის მატარებელი. დიდი, ბჭმას! ეინშე გამოქრის, დაოსტატებულს ფარისველს, რომელიც ბერის ჰევირის ქვეყნის კეთილ-დღეობაზე, საქმით ქვეყანა და ქვეყნის საქმე მასაც უნებზე ჰქილა" და საითაც უნდა, იქით მიუღებს პირს ჩვენს გათახსირებულსა და სრულიად ბებრმავებულს ინტელიგენციასა და საზოგადოებას! იგი, რომ თავის ტუკი მასხარობასა და გამოკალირებას ევლარც კი გრძნობს ეს საზოგადოება! ლიტერატურა დიეცა და განადგურდა და, რასაკვირველია, ვერც შეძლებს იქადაგოს იმ ბნელებთისა და საშინელის წყვილადის თავიდან მოშორებაზე, რომ გლეხი-კაცი დაეთათხეილის პირით არ იძახოდეს:


მიწა ჩემი ჭლადი,  
 გუთანი — ბასრი ცაღამი  
 და მესხად — ტანჯვა-წყალებით  
 ოფლი უჩოხოდ ნაღვარი.  
 ან გი რად მინდა ანანა,  
 რად მინდა თქვანი დაჯთარი:  
 უნებურ მუნჯი შექნაღ ვარ,  
 ვერ მითქვამს ერთი მართალი...-ო

მკრამ ლიტერატურის რომ რამე შეეძლოს, ჩვენ თავდაპირველად იმას უფრჩვედით, რომ ვერც თავის თავს უშეძლოს, მოკმა დას და შეიქმნათ საჯანი მოქმედებისა და თავის ანსტობისა, წამა-უქნოს წანსტიკლები და მოქვეყნოს ღაბზანს აბანანის პირითა.

დღეს კი რას ეხედეთ? დღეს ჩვენ შეეხართ, ელმერთობთ გლეხ კაცებს, თავიანს ესკვით იმათი „სულის სიდიადეს, დიდ-ბუნებოვანობას, სულ-გრძელ-ობას“ და ენაყოფობთ კიდევ ელადკების სულის დასამწვიდელად, რომ „მწვიდობის მოქმედი მოცა-ქელი“ გლეხ კაცებიდან მოდის „სიტყუითა ყოველ მხსნელის სიყვარულისა და მოაქეს მწვენი შტო შე-რიგებისა, შობისა და ურთიანობისა!“ ამაზედ მეტი დავინება ჰყუისა, გრძნობა გონებისა კიდელა გავონილა?..

„დაწერილი წიგნიო, — ამბობს ერთი უღრვოდ გარდაცვლადებული, კეთილშობილი და ფრიად განვითარებული საფრანგეთის კრიტიკოსი, — რაც უნდა სახეს იყოს ნაკლებოვანებითა, არის ერთი უმაღლესი გამოთქმულებათაჲნი „საუტყუნო ცხოვრებისადმი ლტოლილებისა“, და ამ აზრით იგი ყოველთვის ღირსია პატივისცემისაო.“ ჩვენი აზრით, ეს უღარესი წერტილია კრიტიკოსის დიდ-სულოვანობისა, უსაზღვრო სულგრძელებისა, რომელსაც ადვილად შესაძლებელია, რომ ბევრი ნაკლი და საზოგადო ხარალი მოჰყვეს ლიტერატურაში. ჩვენ ვერ მივალთ და, სწორად მოგახსენოთ, არც გვაქვს სურვილი მოვიღეთ ამ გვარ უსაზღვრო სულ-გრძელების სფერაზე და მივიღებთ ამ აზრის გამოთქმულებას მხოლოდ იმ პირობით, როდესაც წიგნი დაწერილია საზოგადოების მიენე და სინიდისს მოღალატე, მოევაჭრე პირის მიერ კი არა, არამედ პატიოსანისა, გულწრფელისა და საზოგადო სარგებლიანობის მიქებებისაგან, ამ გვარი პატიოსანი, შრომის მოყვარე, საზოგადო კეთილთანამგრძნობი და თანამოზიარე“ იყო განსვენებული ოსებ დაეთათხეილი, რომლის ნაწერებს კაცი, რაც უნდა იყვეს, მაინც გადათათლირებებს და იქ დაწერილს მოისმენს ისე, როგორც მოუხმენს ხოლმე უბრალო, გულმარტივის მოამბეს, რომელიც ღაბზანობის თვის გულის დარღებსა და მწუხარებას. განსვენებულის ოსებ დაეთათხეილის სტონა მუდამ იქნება ჩვენს გულში, და, როგორც აკაკიმაც უწინასწარმეტყველა საწყალობელს, — „ის შეუწინაშევი და დაუფასებელიც“ არ დარჩა...

ხომოლედი



ს ა ნ ხ მ ა რ ლ ბ ა ს ა რ თ ო მ ბ ი

იგანავა ტოჯასპარ



იგანავა არა.. ძალიან ეიწეწა საქმე, ბატონო კოჯასპირ.

გოჯასპირ. სულ ჩვენი ბრალია, ჩემო იგანიკა.

იგანავა. იმე, რაეა გეკარტა?... გუშინდელი ბალანეი, ვერც ხეირიანათ რომ ენაც არ ოუღაბს,

ამ პატიოსან დაქალაჩებულს და დამსახურებულ კაცებს უკადრის სიტყვებს ეუბნება „თქვენ რაკაცები ხართ, ერთქამეთის ჩხუბისა და მტრობის მეტს არას აკეთებთო. იმას რა ეუთხრა, ვინც თქვენ კაცები და გიძახოსო!...“

გოჯასპირ. ახია ჩვენივე, ჩემო იგანიკა. უარესის ღირსიც ვართ. იმ ღროს, როცა ქვეყნიერებაში დიდი

სახელმწიფოები ომს ამზადებენ, ჩვენ აქ ერთმანეთს ოაჯების ვამტრევეთ და არ ვფიქრობთ, აქლემები რომ წეიკიდონ, ვი თუ კოზაკი შუაში გასრიონ.

**აგანაყა.** მაინც არაფელი გაზდილობაა, ჩვენი ძველი კაცების ლანძღვა და უბატრევეშულობა. დედის წინ რომ მასთუ კვიცი ბტუნვას დეწყებს, იმას მგელი შექამს.

**გოჯასზარ.** თუ ვერვა, მგმც ჩვენი მოწინავე კაცების ბრალია. იმდენი სიბრძნე და დარბაისლობა როგორ ვერ გამოიჩინეს, რომ თავისი ჭუჭყიანი საქმეები არ გამოაშკარონ ახალ-მოზარდ თაობის წინაშე. ხომ იცი, ჩემო ივანია, ნოესი და მისი შვილების ამბავი; ნოე რომ დათერა და თავის შვილებს შიშველი ცხვენა.

**აგანაყა.** რაეა არ ვაცი? უმცროსმა შეიღმა ქე არ ღანძრახა იგი; იმე, ავი მამა ჩემი რაეა გასულღელუბლა, ტინტრაკვი დეიარებაო.

**გოჯასზარ.** ოპ, ცხონდა მამა შენი. გკონდა, ი დლოკილი, რაკი დათერა, დავწებოდი შინ და კარგათ დავიძინებდი რა მარაბინებდა შეილებს წინ და შიშველ-ტიტველი რა აქუნდრუკებდა? და-სტინებდნენ, მა რას იზამდნენ.

**აგანაყა.** იმან წააღდნა სტორეთ ჩვენი საქმე. იმიზაა, რომ ახლა ჩვენც ქე ეთრობით. ღვინით. ნოესი გადღვევდა ავი უბაკი სენი.

**გოჯასზარ.** მამ ბვერი რამ უღლი შეიღმე, მაგრამ რასა იქ...

**აგანაყა.** თუ სიჭია, ამა, აწი დათერეს ჩვენში და ხანჯალი ამოიღოს მეზობლის მოსაკლავათ. მაშინათეი ჯარჯუბნასეთი ჩამოაქინწიალებენ.

**გოჯასზარ.** თუ გვიშველის, აი, ეგ განკარგული ბა გვიშველის, სხვა ვერაფერი.

რაც მოგეცა დავითო, ყველა შენი დავითო.



გოჯასზარი

ივანია

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გასკეთი

## „პ მ ა ლ ი“

გამოვა 1884 წელს ფოველ კვირასი ერთხელ ერთადან სამ თახანამდის ამავე პროგრამით

რედაქტორი ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურლიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა. წლიურად ეღირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გავზანთ რვა მანეთი. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაჟრა, გავზანთ ოთხ მანეთი სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გავზანთი სამი მან. თითო ნომერი ახასიათ

### ხელის მაწერა მიიღება

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის ქართულ სახლობა სამკითხველოში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქ ვარეშე ხელის მომწერთა უნდა მიიტყენ „კვალის“ რედაქციაში Тифлись, Редакция „Квали“, Большая Вовозовая № 22, домъ Айвазова.